Mosulishvili
& Partners

დ.ჯონქაძის ქ. №10
0105 ქ.თბილისი
საქართველო
ტელ: +995 322 438955
მობ: +995 577 799205
giorgi@mosulishvili.ge
www.mosulishvili.ge

"საერთო სარგებლობის მრავალსართულიანი ავტოსადგომი"

ქ.თბილისი, დაბა ზაჰესი, კასაძისა და ნიკოფსიაშვილის გადაკვეთაზე, ქეცხოველის 32

შემკვეთი: შპს "ზაზი +"

ID ნომერი : 236047028

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი: გიორგი მოსულიშვილი

არქიტექტორი: მარიამ მამასაშვილი

არქიტექტორი: ნინო ბედუხიშვილი

არქიტექტორი: სალომე მოგინაძეშვილი

შეადგინა: ბექა მოზოლაური

ქ. თბილისი 2026წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1, მო-2

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ზაჰესში, კეცხოველის ქ.№32-ში, კასკადის და წინამძღვრიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, ს/კ 01.72.12.118.009. პროექტით გათვალისწინებულია ავტოსადგომის მოწყობა. შენობა გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონის ვარიანთში.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--ტერიტორიის ფართობი----------3295.00მ^2
--პირველი სართულის სიმაღლე----------4.60მ
--ზედა სართულის სიმაღლე----------5.90მ

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:
--ფენა №1 - ნაყარი გრუნტი;
--ფენა №2 – **თიხნარი**, გავრცელებულია ფარგლებში 0.9 – 1.9 მ. სიღრმიდან. წარმოდგენილია ღია ყავისფერი თიხოვანი გრუნტით, ნახევრადმყარი კონსისტენციის;
--ფენა №3 - თიხების, სუბარგილიტების და ძლიერგამოფიტული ქვიშაქვების მორიგეობა. განლაგებულია 0.00 – 4.0 მ. სიღრმიდან
ტერიტორიაზე გრუნტის წყალი არ გამოვლინდა.
სამშენებლო ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ 420, პ 5-ის მიხედვით T=12.00თვე, სადაც 2.00 –მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=12.00+6.00=18.00 თვე. გვ 4 პ 17-ის მიხედვით **T=18.00 x 1.15=21.00თვე.**

<u>მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს</u>:
--დროებითი ღობის დაყენება;
--საპროექტო გზის მოწყობა საფარის გარეშე;
--დროებითი "ნაგებობების" დაყენება უსაფრთხო ზონაში ჯგუფურად;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;

--სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
--კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. არსებულ ქსელებთან გრუნტის დამუშავება მოხდეს **მარტო ხელით**. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირთული და გატანილი. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით.

გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.

დამუშავების სიღრმე **1.5მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:0.67;
--თიხა, თიხნარი 1:0

დამუშავების სიღრმე **3.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:1;
--თიხა, თიხნარი 1:0.25

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს საავტომობილო ამწე **KATO SL 650R –**ს და სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-**ს გამოყენება. ბეტონის ტუმბოს საშუალებით მოხდება მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოების განხორციელება. საავტომობილო ამწის საშუალებით მოხდება სამშენებლო მასალების მიწოდება. ამწის მოძრაობა განხორციელდება გზის მხრიდან, შენობის გარე ღერძთან.

მშენებლობის რიგები და ეტაპები:

პირველი რიგი---------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:
--პირველი ეტაპი-----მოედნის მოწესრიგება----------**45 დღე**;
--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება-------**15 დღე**.

მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:
--მესამე ეტაპი-------დამცავი კედლის და ტექნიკური დანიშნულების ობიექტის მშენებლობა----------**90 დღე;**
--მეოთხე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები,შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან, სახურავის და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების

მოწყობა----------270 დღე;
--მეხუთე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა, ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------120 დღე;
--მეექვსე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------120 დღე;
--მეშვიდე ეტაპი------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, დეკორატიული აუზის მოწყობა----------60 დღე.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;

-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი "წყლის შესახებ" 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი " მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

KATO SL 650R-ის ტექნიკური დახასიათება

1	მაქსიმალური ტვირთამწეობა	65.00ტნ
2	ისრის სიგრძე	44.50მ
3	ბატიტელის სიგრძე	8.30-13.20მ
4	მაქსიმალური აწევის სიმაღლე	45.50მ
5	აწევის სიმაღლე ბატიტელით	58.60მ
6	დახრის კუთხე	7^0-60^0

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად	60.00მ
	-ჰორიზონტალურად	200.00მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!

ბ/ კალენდარული გეგმა 21.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |



შენიშვნა: მშენებლობის პარკა შეიძლება შეიცვალოს იქნას ანალოგიურ პარკაზე საწარმოებლო ორგანიზაციის ხუთბილის თანახმად

Mosulishvili & Partners

დ.ჭონქაძის ქ. №10
0105 ქ.თბილისი
საქართველო
ტელ: +995 322 438955
მობ: +995 577 799205
giorgi@mosulishvili.ge
www.mosulishvili.ge

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს "მოსულიშვილი & პარტნიორების" საკუთრებას. ყველა ნახაზი და მასში მოცემული ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ კონტრაქტორებისა და უფლებამოსილი პირებისთვის არქიტექტურული ინფორმაციის მისაღებად. მისი გამოყენება სხვა ნებისმიერი პროექტისათვის ან სხვა დანიშნულებით დაუშვებელია.

დოკუმენტის ნებისმიერი ფორმით სრულად ან ნაწილობრივ კოპირება აკრძალულია "მოსულიშვილი & პარტნიორების" წინასწარი გრაფილობიური თანხმობის გარეშე.

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

Pasted Image #3 C1FDB0CF.jpg

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]



Mosulishvili & Partners

დ.ჭონქაძის ქ. №10
0105 ქ.თბილისი
საქართველო
ტელ: +995 322 438955
მობ: +995 577 799205
giorgi@mosulishvili.ge
www.mosulishvili.ge

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს "მოსულიშვილი & პარტნიორების" საკუთრებას, ყველა ნახაზი და მასში მოცემული ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ კონტრაქტორებისა და უფლებამოსილი პირებისთვის არქიტექტურული ინფორმაციის მისაღებად. მისი გამოყენება სხვა ნებისმიერი პროექტისათვის ან სხვა დანიშნულებით დაუშვებელია.

დოკუმენტის ნებისმიერი ფორმით სრულად ან ნაწილობრივ კოპირება აკრძალულია "მოსულიშვილი & პარტნიორების" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

ასტეიდ 1მაგე №3 ჩ1 0ჩ ჯაგ

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]